საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია | № 291 | შაბათი 1918 წ. ივლისის 27 | №291

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

უახლოეგიდან იტყობინებიან, რომ იქ[illegible] გვარი ანარქია მოისპო. მთავრობ[illegible] ციზო სამმართველოს და აარსებს მხოლოდ ორი გუბერნიისათვის. ხუასონსა და რეიმსს შუა ფრანგები იერიშს აწარმოებენ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

**ღირს:** თვით 8 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 50 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190. ტელეფონი 12—29.

საქ. ერ. საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საბჭოს წევრთ, რომ კვირას ივლისის 28-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის საბჭოს წევრის

ვლადიმერ გოგეჩიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. 1251

მეორე ქართული კლუბი

(ახალი საკრებულო)

მიხეილის პრო'სპექტი № 129.

გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა

**ფრიად საინტერესო პროგრამით.**

სამხედრო მუსიკა, საზანდარი, ლეკური, ეზუნდარა, ევროპიული ცეკვა. **სინემატოგრაფი, ქართული წარმოდგენა.** პტიშვო, ტუმბა და სხვა და სხვა სათამაშოები და გასართობები, როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვებისთვის.

10 პროცენტი წმინდა შემოსავლისა გადაიდება ქართული უნივერსიტეტისათვის. დასაწყისი საღამოს 5 ს. ახალი დროით. 1246



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. **დღეს, ივლისის** 27-ს გაიმართება

ორკესტრის ბენეფისი

დღეს პირველად დიდი კაბარე. დიდი სიცილი და მხიარულება. მუსიკის დასაწყისი 7 ს., წარმოდგენის 8 ს., დასასრული 11 ს. გამგე პ. **ელიზაროვი.** 790

ვერის საქალაქო ბაღი (პარკი)

(სატიოზედ, მტკვრის პირას ბორანთან)

კვირას, 1918 წ. მკათათვის, 28 „**ქართველ მომღერალთა გუნდი**"

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით მართავს

დიდ სახალხო ქართულ სეირნობა-კონცერტს

(რომლის წმინდა შემოსავლის 25 პროც. გადაიდება მე-4 რაიონის წითელ გვარდიის სასარგებლოდ). სეირნობა-კონცერტი იქნება მოწყობილი **როგორც ბავშვებისათვის**, ისე **მოზრდილთათვის** სხვა და სხვა გასართობებით; საბავშო სიმღერებით, ცეკვა-თამაშით, გლეხურად გამოწყობილი გუნდი შეასრულებს სოფლის ცხოვრებიდან ხალხურ სიმღერებს: **სუფრით და ღხინით.—მესტვირე, ფანდური, თარი, დუდუკ და სხვა. დაწვრილებით აფიშებში.**

სეირნობის მომწყობი—გამგე **ნიკო კავსაძე** დასაწყისი სრულ 5 საათზედ **ბილეთები სახალხოა.** ბაღი განათებული იქნება შუაღამემდის. 1945

ქართული კლუბი

**შაბათი,** 1918 წ **ივლისის** 27.

საბავშვო საღამო

**დასაწყისი საღამოს** 5 ს

წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა შვილებისათვის შესვლა უფასოა. 1254

**იყიდება** **რესტორანი, რომელიც ბაღში იმყოფება.** ბაღშივე არის მუდმივი თეატრი—მინიატიური. მიხეილის პრ. **№193.** 783

ტფილისი, ივლისის 27.

**საქართველო და ამიერ-კავკასია.**

„კავკაზსკოე სლოვო"-მ მთლიანად გადაბეჭდა ჩვენი მეთაური საქართველოსა და ამიერ-კავკასიის შესახებ და მეორე თუ მესამე დღეს თავისი პასუხიც დაურთო. გაზეთი გვისაყვედურებს, როგორ შეიძლება სოციალისტ-ფედერალისტები წინააღმდეგნი იყვნენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა კავშირის ანუ ფედერაციისაო. იყო დრო, როდესაც ჩვენ სასტიკად ვიცავდით ფედერალიზმის პრინციპებს, მაგრამ დამცირებისა და შეურაცყოფის მეტი ამისთვის არაფერი მიგვიღია. დღეს გარეგნულად ისე სჩანს, თითქოს ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, ფედერაციის წინააღმდეგნი ვართ და „კავკაზსკოე სლოვო" კი დიდი დამცველი ფედერალიზმისა.

მაგრამ დავარწმუნებთ „კავკაზსკოე სლოვო"-ს, რომ ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ოდნავადაც არა ვღალატობთ ფედერალიზმს და მით უფრო არა ვღალატობთ კავშირის იდეას. „კავკაზსკოე სლოვო"-ს რომ სერიოზულად სდომოდა საკითხის გამორკვევა, აუცილებლად ანგარიშს გაუწევდა ორს ჩვენს მოსაზრებას, რომელიც კავშირის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. ერთი მოსაზრება შემდეგია. უწინაც და ეხლაც ვამბობდით, რომ ფედერალიზმის იდეას საბოლოო გამარჯვებისთვის საჭიროა არა მარტო პრინციპიალური და დეკლარაციული განცხადება და წილება ფედერალიზმისა, არამედ რეალურ ძალთა ისეთი განწყობილების შექმნა, რომ ფედერაცია, კავშირი პლიუსად გადაიქცეს ყველა იმ ერთეულისთვის, რომელიც კავშირში შევა. ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა უპირველესად ყოვლისა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოებრივი ერთეული ფედერაციისთვის განმზადებული ნაწილებისა. თუ ეს ასე არ მოხდა, თუ კავშირი ერთს სარგებლობას ანიჭებს და მეორეს კი აზარალებს,—ასეთი კავშირი ან სულ ვერ შესდგება, ან ისეთს ქვიშიან საფუძველზე აშენდება, რომ მას მომავალი არ ექნება. ამნაირად აშენებულ კავშირს იგივე დაემართება, რაც ამიერ-კავკასიის სეიმს დაემართა. იგი ისტორიული ქარტეხილის პირველ შებერვასაც კი ვერ გაუძლებს და ქაღალდის ხუხულასავით დაიფუშება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები სწორედ ამნაირ პროცესს განიცდიან. მომავალი გვიჩვენებს, აქვს თუ არა საერთო რამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს: მომავალი გვიჩვენებს გამთიშავი ელემენტი უფრო მეტია მათში, თუ შემაერთებელი. დღეს კი, როდესაც ჰხდება უდიდესი და ფრიად დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საალმშენებლო მუშაობა ამიერ-კავკასიის ერებისა, ჩვენ მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნაზე ვზრუნავთ და არა ისეთს კავშირზე, რომელსაც დღევანდელ პირობებში არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს.

მეორე ჩვენი მოსაზრება კერძო ხასიათისაა და „კავკაზსკოე სლოვო"-მ რასაც არ მიაქცია ყურადღება. ჩვენ კატეგორიულად განვაცხადეთ, რომ სომხეთისა და ადერბეიჯანის პოზიცია ჯერ გამოურკვეველია. დღემდის ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცოდით: სომხეთი ინგლისისა და რუსეთის ორიენტაციას ადგა, ადერბეიჯანი კი—ოსმალეთისა. ხვალ რომ ინგლისის ჯარი ამიერ-კავკასიის საზღვრებს დაუახლოვდეს, ჩვენ არ ვიცით, მაშინ ისევ შერჩება თუ არა სომხეთს სურვილი **ამიერ კავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციის** შექმნისა. ჩვენ გვგონია, რომ მაშინ სომხეთი კვლავ ფრონტს გამოიცვლის და დიდი სომხეთის იდეის აღდგენას მოითხოვს. რუსეთის ნანგრევებში მოქცეული იდეა სომხეთის აღდგენისა კვლავ დაიბადება და ამას თანავე ერთად დაიმარხება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის იდეაც. დაიმარხება ისევე როგორც იმარხებოდა ვორონცოვ-დაშკოვის დროს.

როგორ შეუძლიან საქართველოს თავისი პოლიტიკური ბედი ასეთს ცვალებადს კომბინაციას დაუკავშიროს? როგორ შეუძლიან საქართველოს კვლავ სახელმწიფოებრივი მთლიანობა შექმნას ისეთს ელემენტებთან რომელთა ორიენტაცია და საბოლოო მიმართულება გარეშე პოლიტიკისა გამორკვეული არ არის?

ამიერკავკასიის მთლიანი სახელმწიფოებრივობის აღდგენა დღევანდელ პირობებში დასამარება იქნება საქართველოს პოლიტიკურ იდეალისა, დასამარება იქნება ყველაფრის იმისა, რაც დღემდის ჰხდებოდა. „კავკაზსკოე სლოვოს" თუ საკითხის გამორკვევა აინტერესებს, ამ მოსაზრებათათვისაც უნდა გაეწია ანგარიში და დაემტკიცებინა, რომ სომხეთი საბოლოოდ შერჩება ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეას და ადერბეჯანი კი ოსმალეთის ზეგავლენისაგან განთავისუფლდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის გულწრფელ წევრად დარჩება. წარსული მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ არც ერთი და არც მეორე არ იქნება. ამიტომ ამიერკავკასიის გაერთიანებასა და კავშირზე ლაპარაკი დღევანდელ პირობებში ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია.

## ნაციონალიზმით ინტერნაციონალიზმისაკენ

საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენი ხალხისათვის მოულოდნელი იყო. არამც თუ ხალხისათვის, თვით ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ ჯგუფებისათვის არასოდეს ყოფილა დღიურ ლოზუნგად გადაქცეული დამოუკიდებლობა. იყო მხოლოდ ერთი, ფრიად მცირე ჯგუფი, საზღვარ-გარედ მომქმედი, რომელსაც საქართველოსათვის საუკეთესოდ სწორედ დამოუკიდებლობა მიაჩნდა, ხოლო ფართო მასაში ეს ლოზუნგი თითქმის არასოდეს ყოფილა გადასროლილი. დამოუკიდებლობა კი არა, ვის არ ახსოვს, თუ რა დიდი ბრძოლა გადიტანა თუნდ ჩვენმა პარტიამ მარტოოდენ ავტონომიის იდეის ქადაგებისთვის!

საკვირველი არაა ამიტომ, ქართველობაში რომ ჩვენი დამოუკიდებლობის იდეა მტკიცე ვერ არის. გარეშე ძალები, სტუმრად შემოხიზნულნი მტერ-მოყვარენი რომ გვებრძვიან აშკარად და ძირს უთხრიან ჩვენს თავისუფლებას—ეს იმდენად სახიფათო არაა. მათ როგორმე გაუმკლავდებით. ხოლო უდიდესი მუშაობაა საჭირო, რომ თვით ხალხი ფსიქოლოგიურად შეეგუოს ახალ მდგომარეობას. ასის წლის განმავლობაში ისე შევეჩვიეთ სხვისაგან აპეკუნობას, რომ დღეს ქართველ მასსას ვერ წარმოუდგენია საკუთარ ფეხზე დგომა და სიარული. სოფლად, ქალაქადაც სრულიად გაურკვეველია ხალხისათვის ის კალეიდესკოპიური ცვალებადობა ამ ცოტა ხანში რომ მოხდა: ამიერ-კავკასიის კომისარიატი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და ბოლოს საქართველოს რესპუბლიკა. არც იციან, რა მთავრობაა, რას აკეთებს და რა პოლიტიკური გეზი აქვს. თუ იციან, რომ საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ყოველ შემთხვევაში იგი გარდამავალი, დროებით მოვლენად მიაჩნიათ ამიტომ, ვიმეორებ, უდიდესი მუშაობაა საჭირო, რათა ხალხი ფსიქოლოგიურად მაინც შეეჩვიოს დამოუკიდებლობას და აშკარად დაუფარავად სთქვას, რომ „მისი თავი მასვე ეყუდნის". გულახდილად უნდა ითქვას, რომ ყველა პოლიტიკური პარტია დამნაშავეა ამ მხრით და თითქმის არაფერს აკეთებს. სხვათა შორის ეს იმითაც აიხსნება, რომ თვით პარტიებიც ვერ შესჩვევიან ახალ მდგომარეობას და ძველი ეროვნული ლოზუნგები ვერ დაუვიწყნიათ. მკვდარ ღმერთებს საოცარის ჰირვეულობით ელოლიავებიან ხოლმე, როგორც ლებონი ამბობს და აქაც ასე ჰხდება.

კერძოდ ჩვენი პარტია იცავდა ფედერაციას. რასაკვირველია პრინციპიალური შეხედულება ისეთივე რჩება, როგორიც წინად იყო. კაცობრიობის მომავალი ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ფედერატიულ თავისუფალ კავშირად წარმოგვიდგენია. მაგრამ ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ თუ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც ასეთი კავშირი შეუძლებელი გაჰხდება—მკვდარს არ ავეკიდებით. ამ შემთხვევაში მკვდარი აღმოჩნდა ჯერ რუსეთი და შემდეგ მკვდრად ნაშობი—ამიერ-კავკასია. გამოვაცხადეთ დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რადგან უპირველესად ყოვლისა, სოციალურ საკითხებთან ერთად, ჩვენი მიზანი იყო ერის უფლება და ხალხის კეთილდღეობა. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ინტერნაციონალი წარმოგვიდგენია, როგორც სწორ უფლებიან ერთა კავშირი. მაშასადამე უპირველესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ყველა ჩაგრულ ერის განთავისუფლება და ამით საერთაშორისო ოჯახში შესვლა. ერის უფლების განმტკიცება, ნათლად ჩამოყალიბება—რათა თავისუფალი გზა მიეცეს სოციალურ ბრძოლას. ამიტომ ჩვენ თავგამოდებით ვიცავდით და ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას. უნდა ითქვას, რომ ქართველობამ მართლაც გამოიჩინა შესაფერისი ნიჭი სახელმწიფოებრიობის შენებისა. მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლების და მასსის შეუგნებლობისა, საქართველო ნელ-ნელა ყალიბდება და მოკლე ხანში მიიღო გარეგანი სახე მაინც სახელმწიფოისა. ზოგიერთი თითქოს გულგატეხილია არსებულ არევ-დარევით, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფოებრივ შენების სიძნელეს გულსატეხი არაფერია. მოიგონეთ, რამდენი ხანი მოუნდნენ სახელმწიფოს აგებას თუნდ ბულგარეთი, სერბია და სხვ. ჩვენ შედარებით ნაკლები მსხვერპლით მივიღეთ უდიდესი რამ, რისთვისაც სხვა ერები საუკუნოებით იბრძოდნენ. ამან ენერგია და ხალისი უნდა შეგვმატოს და ყოველი ჩვენგანის მოვალეობა უნდა იყოს ამ ძვირფას განძის, ერის თავისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება. საკუთარ ფეხზე დადგომა და საბოლოო მიზნისაკენ დაუბრკოლებლივ წინსვლა—აი, ჩვენი მიზანი. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გამაგრება და კაცობრიობაში სწორ უფლებიან წევრად შესვლა—აი, დღევანდელი ჩვენი საზრუნავი. ნაციონალიზმით (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით) ინტერნაციონალიზმისაკენ—აი ჩვენი ლოზუნგი, რომელიც ადრევე დაგვისახა ჩვენმა მოძღვარმა არჩილ ჯორჯაძემ.

ესაა ჩვენი სადღეისო ფიქრი. იგი ბევრს ვალდებულებას და შრომას გვადებს. ყოველი შეგნებული ამხანაგი და მამულიშვილი ამ აზრით უნდა განიმსჭვალოს და მედგრად შეუდგეს სახელმწიფოებრივ და საკულტურო მუშაობას.

ქ. რაჭველიშვილი.

## მთავრობაში

მთავრობამ ეროვნულ საბჭოში შეიტანა განსახილველად კანონპროექტი, მიენიჭოს მას უფლება რეორგანიზაციის და რეფორმის შეტანისა სხვა და სხვა დაწესებულებაში, რათა ყოველ ცალკე შემთხვევაში ამის შესახებ მოხსენება არ წარედგინოს ეროვნ. საბჭოს.

—

**სახელმწიფო კანტროლიორმა** ყველა მინისტრს წინადადება მისცა, ეროვნულ საბჭოში ყოველივე კანონპროექტის განხილვის დროს სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელი იქნეს მიწვეული.

—

წითელ ჯვარის ყველა დაწესებულებების ლიკვიდაციისათვის შრომის მინისტრი მოითხოვს 869 ათასი მანეთს.

—

მთავრობამ დაადგინა ივლისის 1-დან ყველა სააქციზო სამმართველო გაუქმებულ იქმნას და ამათ მაგივრად ქუთაისის და ტფილისის სააქციზო სამართველო დაარსდეს. მოსამსახურეებს სალიკვიდაციო ფული მიეცემა.

—

მთავრობას თავმჯდომარემ მიმართა სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს შემდეგი წინადადებით „მთავრობის დადგენილება ვ. ი. არდიშვილი დანიშნულია მთავრობისაგან მთავარ რწმუნებულად, შიგ საქართველოში პურის ყიდვისთვის, ამ ნაწილში ყველაფერი არდიშვილს ექნება ჩაბარებული და მას მიენიჭება საგანგებო უფლებები. ექნება უფლება შეიპყროს ის, ვინც მის მოთხოვნილებას არ შეასრულებს, ამისათვის ყველა მოსამსახურე სახელმწიფო და კერძო დაწესებულების ვალდებულნი არიან არდიშვილს დაემორჩილონ.

—

შინაგან საქმეთა მინისტრი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, მიეცეს მას 10,190 მან. მიხეილის საავადმყოფოში 3 თვის განმავლობაში ავადმყოფების შესანახავად, რომლებიც ეჭვით ხოლერით უნდა იყვნენ ავად.

—

სახელმწიფოს შემოსავლის გასადიდებლად დადგენილია, აგარაკების გაუმჯობესება. ამ მიზნით საოლქო სადგილმამულო კომიტეტთან დაარსდა ცალკე კომისია, საქართველოს მინერალურ წყლების და სამკურნალო ტალახების გამოსაკვლევად.

## უკანასკნელი ცნობები.

**უწესოება რკინის გზაზე.** ივლისის 21 კახეთის მატარებელი № 4 მთვრალმა მილიციონერებმა შეაჩერეს სადგ. მუკუზანში მილიციონერებს მეთაურობდა ველისციხის კომისარი. მათ მოსთხოვეს მატარებლის მცველ რაზმის უფროსს მგალობლიშვილს—ყველაწ[illegible] [illegible]რეთო. მატარებელს გარს შემოერტყა 50 მილიციონერი და მხოლოდ მგზავრებს ჩარევამ საქმეში გადაარჩინა დახვრეტის მცველთა რაზმი.

ველისციხის კომისარმა განუცხადა მცველთა უფროსს, რომ იგი არა სცნობს არავითარ საქართველოს მთავრობას [illegible]

მის განკარგულებას, ხოლო მცველები თა მთლად რკინის გზის ორგანიზაცია ხელიგანებადემიაჩნია. ამასთანავე ხალხის თანადასწრებით ქუჩური სიტყვებით ჰლანძღავდა მთავრობის მეთაურს ნოე ჟორდანიას, დიდის ვაი-ვაგლახით გაარღვია მილიციონერების წრე მატარებელმა და თელავს მშვიდობიანობით მიაღწია.

როგორც კერძო ცნობებით გავიგეთ ველისციხის კომისრად ყოფილა ვინმე სომეხი ოგანიანი.

**ხევსურთა დელეგაცია**

**ტფილისი** 7—25. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას ხევსურთა წარმომადგენლები წარუდგნენ და იშუამდგომლეს იარაღი მოგვეცით, რომ ქისტების თავდასხმისაგან თავი დავიცვათო. ნ. ჟორდანიამ მიულოცა ხევსურებს საქართველოს დამოუკიდებლობა, აღუთქვა იარაღის მიცემა და იმედი გამოსთქვა, რომ ეს იარაღი მოხმარებული იქნება საქართველოს ტერიტორიის დასაცავად. ამასთანავე ნ. ჟორდანიამ აუწყა ხევსურებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მთიელთა მთავრობასთან შეთანხმებით ყოველგვარ ზომას მიიღებს, რათა დაიცვას ხევსურები ქისტების თავდასხმისაგან.

**ზუგდიდის მაზრა.**

**ქუთაისი.** 7—25. გუბერნიის კომისარს წარუდგნენ ზუგდიდის მაზრის სასოფლო საზოგადოებათა დელეგატები და განუცხადეს, ბოლშევიკების რაზმები სინანულში ჩავარდნენ დ... გვნებდებიანო. ყველა იყრის იარაღს, თუ მას დანაშაულს აპატიებენ ამას გარდა ბოლშევიკები მზად არიან გულ ახდილად სთქვან, თუ რატომ ილაშქრებდნენ იგინი მთავრობის წინააღმდეგ და ვინ აქეზებდა მათ ამაში.

**ყაზბეგი.**

**უ. ზზეგიდან** სახალხო შტაბს დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ ანარქიას ბოლო მოეღო და ყველაფერი სასურველად დამთავრდა.

# ომის დეპეშები

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** 7—24. ლისის ჩრდილოეთით საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა, არრასის ორსავე ნაპირით და ალბერთან. ავრის დასავლეთ ნაპირას მეილთან შეტევის შემდეგ და მის ჩრდილოეთით მტერი დროებით წინ წაიწია ავრამდე. ჩვენ კონტრ-იერიშით უპასუხეთ და ძველი მდგომარეობა დავამყარეთ. ენსა და მარნას შუა მტერმა ახალი დივიზიები დაიხმარა და შეტევა განაგრძო. გენ. ბოემს ლაშქარმა უკუაქცია მტერი, იერიშების გაძლიერებას რომ სცდილობდა ფრანგები და ამერიკელები კვლავ საგრძნობლად დაზარალდნენ. დუაიორდსა და ხარტენეს შუა მტერმა ხუთჯერ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე. ვილლერ-მონტუარის ორსავე მხრით მტერმა დაიპყრო ნაწილი ტერიტორიისა. კონტრ-იერიშით ჩვენ იგი უკან გავრეკეთ და ვილლერ—მონტუარიც დავიბრუნეთ.

მდ. ურკის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ საშუალება არ მისცა მტერს იერიში მოეტანა. ჯავშნოსნები რომელნიც ჩვენს ხაზებში შემოიჭრნენ. საარტილერიო ცეცხლის საშუალებით გავანადგურეთ; ქვეითა ჯარიც. ჯავშნოსნებს რომ მისდევდა, გავრეკეთ. ურკსა და მარნას შუა ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის ძლიერი იერიშები. ვოკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით და შაპელის ტყესთან მტერი რომელსაც იერიში მოქონდა გავრეკეთ. ნაშუადღევს მხოლოდ ადგილობრივი შეტაკებები იყო. მარნასა და არდრს შუა მტერმა არა ერთხელ მოიტანა იერიში, მაგრამ ამაოდ. არდრის ჩრდილოეთით თეთრ და ფეოად ქისთან ერთად ფრანგების ლაშქარში იტალიელები და ინგლისელებიც იბრძოდნენ. იტალიელებს სუსტი იერიში მოქონდათ და ჩვენც მათ ადვილად ვიგერიებდით. ფრანგები და ინგლისელები ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გავრეკეთ.

**პარიზი.** 7 24. ფრანგებმა რეიმსთან ტყიანი ადგილები აიღეს. ივლისის 23-ს მეილის რაიონში ფრანგებს 1850 კაცი დაატყვევეს, მათ შორის 52 ოფიცერი [ოთხი] ბატალიონის კომანდირია.

**ბუქარესტი.** 7 25. კრონპრინცი რუპრეხტის ლაშქარი. მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე ოკკასა და საბუტელონს შუა. მტერი გავრეკეთ. ადრიერის დასავლეთითაც და მეილის მხრითაც მოვიგერიეთ მტრის იერიში.

**გენერალ კრონპრინცის ლაშქარი.** სუასონსა და რეიმსს შუა გუშინ ბრძოლა შესუსტდა. მტერს იერიში მოქონდა ჩვენს პოზიციებზე ურკის სამხრეთით და რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც ჩვენ მოვიგერიეთ.

**ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი.** ვოგეზებში მავთულის ღობეებთან ბრძოლის შემდეგ ტყვეები იგდო ხელთ.

**პარიზი** 7—25. ფრანგების ჯარმა ხანგრძლივი ცხარე ბრძოლის შემდეგ კურსი—სილვილი დაიპყრო. სამხრეთით ფრანგ-ამერიკელების ჯარმა წინ წაიწია 3 კილომეტრით, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, განსაკუთრებით დორმანსის რაიონში. არმანტიეროს სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრანგებმა აიღეს „141"-ის მაღლობი და უკან დასტოვეს მეინარე ხარტენილი. სამხრეთით ფრანგებმა აიღეს სოფ. ხუანსი, ტურნელის ტყის მეტი წილი და პერტის ტყეში შევიდნენ მიუვარდ-ლე-მარშელის ხაზამდე. აგრეთვე ორწყინვალედ მოიწევდა წინ ფრანგების ჯარი რისის ტყეში, დორმანსის ჩრდილოეთით. რეიმსის სამხრეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს ფრანგების პოზიციებზე... და წმ. ეფრემს შუა და გამაგრდნენ „24"ს-ის მაღლობზე. ფრანგების ჯარმა ცოტა ხნის შემდეგ უკან დაიბრუნა ეს მაღლობი და 100 კაციც დაატყვევა.

**ბერლინი.** ივლისის 25. სალამოს ცნობა. სუასონსა და რეიმსს შუა ნაწილობრივი ბრძოლაა.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** ივლისის 25. საგულისხმო არაფერი მომხდარა.

ალბანიაში გუშინ დილით ჩვენმა ჯარმა გადალახა მდ. სემენი კუსის მახლობლად, შეებრძოლა მტერს და მრავალი ტყვე წამოიყვანა კუსსა და ზღვის შუა იერიშები მიიტანეს ჩვენებმა მტრის ბანაკზე.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** ივლისის 25. ადგილ-ადგილ საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება. ზღვის სანაპიროთი და იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირით მტრის მზვერავები გავრეკეთ. იორდანეს სახიდო სიმაგრის დასავლეთით. ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მტრის კავალერიას. ივლისის 23-ს ქალაქ მაანის რაზმი თავს დაეცა მტრის ძალებს ქალაქის დასავლეთით ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს ტყვიისმფრქვეველებით მტრის კავალერიის ბანაკზე იორდანეს ჭალაში და მრავალი ყუმბარა ჩამოჰყარეს. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია,

**სტამბოლი.** 7—24. მხოლოდ უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლასა და პატრულების შეტაკებას ჰქონდა ადგილი. მთელ ფრონტზე სიწყნარეა. ივლისის 21-ს და 22-ს მტერი სცდილობდა ხელთ ეგდო რკინის გზა. ჩვენმა დარაჯებმა დროით მოიგერიეს ეს იერიშები და მტერიც დიდად დაზარალებული გარეკეს. შარდუნის რკ. გზ. სადგურთან 209 გვამი იპოვე ინსურგენტებისა. სხვა ფრონტზე არაფერი მომხდარა.

**სტამბოლი.** ივლისის 23-ს ნაშუადღევს მტრის 6 ჰაეროპლანმა ყუმბარები დაუშინა სტამბოლს. დაიძრა 5 კაცი, სხვა არავითარი ზარალი არ მიუყენებიათ.

# პარლამენტის გარშემო

საკონსტიტუციო მუშაობაში პრეზიდიუმის წევრთა დამატებითი არჩევნები მოხდა. თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს სამსონ დადიანი, მდივნად პავლე საყარელიძე, თავმჯდომარედ სერგო ჯაფარიძე.

# უცხოეთი

**უკრაინა და გერმანია.**

**ბუქურეშტი.** ივლისის 23. უკრაინის გარეშე საქმეთა მინისტრმა იასაში საგანგებო ნოტა გაგზავნა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა დიპლომატიური ურთიერთობის მოწესრიგება უკრაინასა და რუმინიას შორის. უკრაინის მთავრობამ კონსული დანიშნა კიშინიოვში.

**ნიკოლოზის მოკვლისათვის.**

**პარიზი.** ივლისის 25. რუსეთის საელჩომ პარიზში განკარგულება გასცა, რომ ხუთშაბათს რუსების ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადონ რუსეთის ყოფილი მეფის ნიკოლოზის მეორის სულის მოსახსენებლად.

**არეულობა თურქისტანში.**

**მოსკოვი** ტაშკენტიდან. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ლენინს. საკმაო ძალასა ვგრძნობთ რევოლიუციის მოპოებათა შესანარჩუნებლად ბრძოლისათვის. თქვენზე რომ ვისმენთ, უფრო გვემატება მხნეობა და ძალა. მე ჩემის პოლკით ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე გამოგვიგზავნოთ სამხედრო მასალა. რომლისთვის მე ბონჩ-ბრუევიჩს ველაპარაკებოდი. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ბაქოსთან კავშირი დავიჭიროთ.

თურქისტანის სახ. კომ. ს. თავმჯდომარე **კოლესოვი.**

**ამერიკაში.**

**ვაშინგტონი.** ივლისის 7—25. ვილსონმა განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ივლისის 21-დან მთავრობა მეთვალყურეობას გაუწევს ტელეგრაფს, ტელეფონს და უმავთულო ტელეგრაფს ომის დასრულებამდე.

# ახალი ამბავი

* მ. და ჯ. კ. დეპ. საბჭომ დაადგინა: 1) მოიწვიოს ალმ. კომიტეტის ყველა ნაწილი, რომელიც დემოკრატიული მთავრობის განსამტკიცებლად და ყველა დემოკრატიული ძალების ერთ ძლიერ მთავრობაში გასაერთიანებლად იყო გადადგმული. რევოლიუციონური ორგანიზაციები იტოვებს კონტროლს, პროპაგანდის და ორგანიზაციის ფუნქციებს: 2) საბჭო იწონებს მთავრობის ყველა ზომას, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასამტკიცებლად იყო მიღებული.

* **ხოლერა.** ქალ. საავადმყოფოში მოიყვანეს 8 ხოლერიანი და 4 საეჭვო ავადმყოფი, გარდაიცვალა 6 ხოლერიანი და 1 საეჭვო ავადმყოფი. ივლისის 25 იყო სულ 150 ხოლერიანი და 26 საეჭვო ავადმყოფი.

* **საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ პრეს-ბიუროს** ჰსურს კავშირი დაიჭიროს უკრაინაში არსებულ ანალოგიურ ბიუროსთან, ამის გამო მოლაპარაკებაა ლ. ის. გალპერინთან, რომელიც ამ დღეებში უკრაინაში მიდის.

* **კოოპერატივების გამგეობამ** საბოლოოდ მიიღეს ხინქართა პროფესიონალური კავშირის კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც ერთი წლის ვადა აქვს. ხელშეკრულების ძალით კოოპერატივთა მოსამსახურენი ჯამაგირის მხრით 6 კატეგორიად იყოფიან: 1. 360 მ. თვეში, 2. 460 მ., 3. 530 მ., 4. 600 მ., 5. 720 მ., 6. 750 მ.

* **სასურსათო სამინისტრომ** კოოპერატივთა კავშირის საშუალებით სარვანის კოოპერატივისაგან მიიღო 100 ფუთი ხორბალი და 68 ფუთი ქერი.

* **მიწათმოქმედების სამინისტრომ** ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირს გადასცა ტფილისის, გორის და ქარელის ხილის სასთობი სახელოსნოები.

* **კოოპერატივთა კავშირი** გორ... რაიონში საპონის ქარხანას ხსნის... რო მასალა... მოიპოვა.

* **საღამო.** კვირას ივლისის 28 მიხეილის ქუჩაზე № 129 ახალ ქართულ კლუბში ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ დანიშნულია სეირნობა საინტერესო პროგრამით.

* **სეირნობა ვერის პარკში.** ქართველ მომღერალთა გუნდისა მიხეილ კავსაძის ლოტბარობით იმართება დღეს, ივლისის 28 წმინდა შემოსავლის 25 პროც. გადაიდება მე-4 რაიონის წითელი გვარდიის სასარგებლოდ. იქნება მრავალი გასართობი, როგორც ბავშვების, ისე მოზრდილთათვის.

* **ქართველები ჯარში.** ქ. იურევში დარჩა ფარმაციის მაგისტრი და ექიმი კლიმენტი ბესარიონის ძე ლომიძე, რომელიც ბოლო ხანებში არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სასანიტარო ინსპექტორის თანაშემწედ. ყველას, ვინც კი რამე იცის შესახებ ამ ლომიძისა, სთხოვენ აცნობონ სანიტარიის ინსპექტორს ან „სახალხო საქმის" რედაქციას. ანალოგიური თხოვნით სასანიტარო ინსპექციამ მიმართა გერმანიის მისიას ჩვენში.

* თელავის სასულიერო სასწავლებელში **განმეორებითი გამოცდები** დაიწყება 2 ენკენისთვიდან (ახალი სტილით), ხოლო მისაღები გამოცდები 6 ენკენისთვიდან.

# სოფლად და ქალაქად

**დაბა ხარაგაული.**

* კვირას ივლისის 14, დაბა ხარაგაულში ჩამოვიდნენ ტფილისიდან ნავთლუღის წითელი გვარდიის შტაბიდან ს. ერთაწმინდელი და ნ. ნუცუბიძე, და ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართეს საღამო ტრაგიკულად მოკლულის გვარდიელის პავლე ვასილის ძე აბაშიძის მშობლების სასარგებლოდ. წმინდა შემოსავალი იყო 400 მანეთი, რომელიც გადაეცა პავლეს მშობლებს.

**ძ. ახალქალაქ.**

* ქ. შ. წ.-კ. გ. ს. სენაკის განყოფილების გამგეობა, თანახმად ამ განყოფილების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა, სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც აბასთუმნის ბიბლიოთეკიდან გატანილი აქვთ სახლში საკითხავად წიგნები და დღესდღეობით ვადაზე არ დაუბრუნებიათ, კეთილ ინებონ და დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა არა უგვიანეს ორი კვირისა წარმოადგინონ ბიბლიოთეკაში მათ მიერ გატანილი წიგნები, ან და გადაიხადონ ამ წიგნის ეხლანდელი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ვინაობა გამოცხადებულ იქნება პრესაში და აგრეთვე მათი სიაც გაკრულ იქნება ბიბლიოთეკაში საზოგადოების ცნობად მისაღებად.

**სოფ. ზემო-აბაშა.**

* ზემო-ავჭალის სახალხო საკულტურო საგანმანათლებლო საზოგადოება...

# აგრარული საკითხი საქართველოში

3.

**აგრარული კაპიტალიზმი.**

პოლიტიკურ ეკონომიაში ადამ სმიტი „სამრეწველო სისტემის" მამათმთავრად ითვლება, სმიტიც ინგლისის სამრეწველო კაპიტალიზმის წიაღში ცხოვრობდა და სიდიადეს ქალაქის მრეწველობის გვიხატავდა. მაგრამ მიუხედავად აგრე ვსთქვათ ინდუსტრიალურ ტენდენციისა, სმიტი მაინც ხედავდა იმ თავისებურ მდგომარეობას, რომლითაც სოფლის ცხოვრების პირობები კაპიტალიზმზე გავლენას ახდენდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალი მიწის და ბუნების მორჩილია, ერის მთელი შემოსავალი, ეროვნული სიმდიდრე სოფლად დამოკიდებულია შრომის გარეშე პირობებისაგან, რასაც ქალაქის მრეწველობაში თითქმის არავითარი გადამჭრელი მნიშვნელობა არ აქვს. „მიწის შემოსავალი—ამბობს ადამ სმიტი—გახურჩევლად ნაწარმოებისა იცვლება ნიადაგის (მიწის) ნოყიერების მიხედვით, მიწის ნოყიერების გარდა ადგილმდებარეობასაც აქვს ასეთივე ძალა". *) ქალაქის მრეწველობისათვის ამა თუ იმ საქონლის დამზადებისათვის საჭიროა თანხის, მუშის ძალის და საწარმოვო იარაღის ტექნიკური კომბინაცია. საქონლის თვისება, ხარისხი და ზომა სავსებით ან უმთავრესად ემორჩილება მექანიკურ შაბლონს. კინძისთავის და ლურსმანის გაკეთება მათემატიკურ ფორმულის ერთ და იგივეობით შეიძლება საქართველოშიაც და ინგლისშიაც, ამისათვის საკმაოა ტექნიკურ პირობათა ერთნაირი კომბინაცია, მაგრამ ის რაცა ვსთქვით ლურსმანსა და კინძისთავისათვის სრულიად ვერ ვიტყვით კომბოსტოსა, კარდისა და ხილის კულტურაზე. ერთი და იგივე სამეურნეო კულტურა თითქმის მეზობელ ქვეყნებში სხვა და სხვა ღირსების არის და აქედან სხვა და სხვა ღირებულების. ამ გარემოებას „სამრეწველო სისტემის" ავტორიც აქცევდა ყურადღებას და თავის თხზულებაში სწერდა: „საფრანგეთის ბორდოსის საკონელი მეტადრე ლამაზი და იაფია ინგლისურ აბრეშუმთან შედარებით, კიდევაც აბრეშუმის წარმოებას საფრანგეთი უფრო უწყობს ხელს, ვიდრე ინგლისის ბუნება". **) კ. მარქსის სკოლის გამოჩენილი მეცნიერი—ედ. დავიდი ქალაქის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას სულ სხვა და სხვა კატეგორიად სახავს. დავიდი ინდუსტრიის შეერთებას სოფლის მეურნეობიდან ხსნის ორგანიულ ფაქტორების არსებობით, როდესაც ინდუსტრიაში მხოლოდ მექანიკურ პროცესთან გვაქვს საქმე. რის მისაღებად, კვერცხის შესაქმნელად, პირუტყვის ასაშენებლად საჭიროა არა მარტო მექანიკურ პირობათა არსებობა და მოძრაობა, არამედ იმ ძალთა „ცხოველურ ნებისყოფის" გამოჩენა, რომელნიც რძეს, კვერცხს და სხვა საგანს იძლევიან. ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ და გეოლოგიურ პირობას მნიშვნელობა და წილი აქვს საზოგადოებრივ სიმდიდრის შექმნაში, რასაც ედ. დავიდი სუბსტანციონალურ ენერგიას" უწოდებს. ***) კ. მარქსი ბუნებრივ პირობებს და ცხოველთა, მცენარეთა და ფრინველთა „სუბსტანციონალურ ენერგიას" არ აქცევდა დიდ ყურადღებას, ის ცდილობდა მეცნიერულ სოციალიზმისათვის ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი და დაინტერესებული იყო ადამიანის სუბსტანციონალური ენერგია შრომა აეტანა მნიშვნელობის უმწვერვალეს ხარისხამდე, მაგრამ შეუძლებელი იქნებოდა ისეთ დიდ მოაზროვნეს, როგორც მარქსი სრულიად უყურადღებოთ დაეტოვებია ბუნების ძალა, მიწის ენერგია და სრულიად ყრუდ ჩაეტარებია ფიზიოკრატების მოძღვრება, რომელსაც კ. მარქსი ძალიან კარგად იცნობდა. ქალაქურ მრეწველობის მოძრაობის გატაცების მიუხედავად მარქსი იძულებული ხდებოდა ახგარიში გაეწია სოფლისათვის და ხშირად გვასწავლიდა მიწის და მის თავისებურობის გავლენის მნიშვნელობას. ამ განსხვავებისათვის მარქსს დიდი ყურადღება არ მიუქცევია, როგორც ლიახჩუკო ამბობს, ეს განსხვავებანი კაპიტალიზმის განუვითარებლობის გამო არ იყო კარდინალური მასიურისა და ამიტომ სოფლის კულტურის განსხვავების, თავისებურობის ნიადაგზე მარქსმა ვერავითარი სისტემა ვერ შექმნა. მაგრამ მარქსი აქა-იქ მაინც გვიხსნიდა განსხვავებას. იქ, სადაც საქონლის ღირებულების მეცნიერულ თეორიის გამოკვლევას იწყებს მარქსი გარკვევით იხსენიებს მიწასაც, ბუნების როლსაც. „მომხმარებელი ღირებულება—ამბობს კ. მარქსი—სერთუკი, ტილო და სხ.—საერთოდ ყოველგვარი საქონელი წარმოადგენს ორი ელემენტის შეერთებას:—მასალისა და სახმარებელ ღირებულების, არა, როგორც ვილიამ პეტი ამბობს—შრომა მამაა, ხოლო მიწა სიმდიდრის დედაა". *) შრომასთან ერთად სიმდიდრეს და ღირებულებას ქმნის ბუნება, მიწა, მისი ორგანიული, სუბსტანციონალური ენერგია, რასაც ადგილი არ აქვს ინდუსტრიალურ მრეწველობაში. ამიტომ თუ ინდუსტრიაში კაპიტალი ფლქვნის მხოლოდ შრომას და შრომასთან დაკავშირებულ შრომის და წარმოების იარაღებს, სოფლად კი ამასთან ერთად იფლქვნება ბუნებაც, მიწაც, ნიადაგიც. კ. მარქსი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიიდან ასეთ განსხვავებას ძალიან კარგად ხედავს: „კაპიტალისტურ მეურნეობის პროგრესი არის არა მარტო მუშის გატყავების პროგრესი, არამედ პროგრესია მიწის ნოყიერების მითვისებისა" ამბობს მარქსი *). ეს მეტის მეტად საყურადღებო დებულება კ. მარქსს იმდენად არ გაუვითარებია, რამდენადაც შესაძლებელი იყო მისი გონებისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მარქსის ორტოდოქსალურმა მოწაფეებმა დათვური სამსახური გაუწიეს მასწავლებელს, ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის სხვაობა მიიქმალეს და მარქსის ხმასაც ვულგარული ელფერი მისცეს. „კაპიტალის" კიდევ სხვა ალაგას მარქსი არ ივიწყებს სოფლის კულტურის განსხვავებას ქალაქის კულტურისაგან. მარქსის საამისო აზრს ადვილად ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როდესაც მის მიერ შესწავლილ კაპიტალიზმის ბუნებას სათანადოდ წარმოვიდგენთ. კაპიტალიზმის არსებაში მარქსი ხედავდა სამ უმთავრეს, დამახასიათებელ ფაქტორს: 1) საწარმოვო საშუალებათა კონცენტრაციას, 2) შრომის საზოგადოებრივ შრომად გარდაქცევას და 3) მსოფლიო ბაზრის შექმნას.**) კაპიტალიზმი ამ მთავარ მოვლენის წარმოშობას თითქმის არაფერი არ შეუშლის ხელს ქალაქის მრეწველობაში, ინდუსტრიაში, მაგრამ სოფლად არც კაპიტალის, არც შრომის და არც ბაზრის პირობა შეუძლებელია დაუბრკოლებლად ისე მომზადდეს, რომ კაპიტალიზმის დასახელებული ტიპიური მოვლენები განხორციელდნენ. თვით მარქსსაც ძალიან კარგად ესმოდა ეს გარემოება. კაპიტალის კონცენტრაციისათვის მიუცილებელია ორი გარემოების დაცვა: 1) ექსპლოატაცია შრომის და 2) უტილიზაცია დროის. დროის მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური ძალების ვითარებისათვის. კაპიტალისტურ კულტურისათვის მიუცილებელია ყოველ ტექნიკურ გამოგონებას დაუყონებლივ გაუჩინოს ასპარეზი, რომ პირველი გამოგონების ძალა არ გააქარწყლოს ახალმა გამოგონებამ. ამიტომ კაპიტალისტურ წარმოების ფილოსოფია შეიცავს ორ მომენტს: 1) ყოველგვარ საწარმოვო იარაღის დაუყონებლივ გამოყენებას და 2) ამოძრავებულ იარაღის შეუწყვეტლივ მუშაობას. წარმოების „შეუწყვეტლობა ამბობს მარქსი—დამახასიათებელი თვისებაა კაპიტალისტურ ნაწარმოებისა, შეუწყვეტლობა კაპიტალიზმის ტექნიკურ პირობის გამო არის სავალდებულოო". *) კაპიტალის მკვდარ ფორმაში მოქცევა, მისი უმოძრაობა—კაპიტალიზმის ბუნების სრული უარყოფაა

**) იხ. ად. სმიტი, გვ 102

**) „კაპიტალი", ტ. 3, ნაწ. 1, გვ 242.

ივლისის 28-ს თვით ზემო-ავჭალაში, ბაქან „ზედაზნის“ მახლობლად, მართავს „ფინჯანით ჩაის“ ადგილობრივ წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ.

ოზურგეთი.

◆ კვირას, ივლისის 14 მსახიობთ ნ. მამულაიშვილის და ქ-ნ მაჭავარიან-მამულაიშვილის მონაწილეობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ოზურგეთის თეატრში დადგმულ იქმნა ვ. გუნიას ცნობილი ისტორიული პიესა „და-ძმა“. სამწუხაროდ წარმოდგენამ ვერ გაამართლა იმედები. აღსანიშნავია მხოლოდ თამაში თვით წარმოდგენის ინიციატორისა ნ. მამულაიშვილისა, რომელმაც შედარებით კარგად შეასრულა გაიოზის როლი და აგრეთვე ქ-ნ მაჭავარიან-მამულაიშვილისა (მარინე).

გურია.

◆ ოზურგეთის ქალაქის თავად ნაცვლად გადაყენებულ ბ. ღლონტისა მოწვეულ იქმნა ბ. გ. მურვანიძე, ბ. მურვანიძე, როგორც ვიცით, გუბერნიის კომისარის მიერ არის წამოყენებული, ხოლო გურიის ს. დ. ცენტრალური კომიტეტისაგან მოწონებული. ვნახოთ რომ მოაგვარებს ის ოზურგეთის აფორიაქებულ აბნეულ საქმეებს და გახდება ღირსი არა თუ იაოტო აარტია. კომისარის, ნდობისა არამედ თვით მოქალაქეთა, რადგანაც უკანასკნელთ ძლიერ აქვთ გატეხილი გული ქალაქის თავებზე ნამეტნავად კი თანამედროვეზე.

◆ ერობის არჩევნების მოგვარებას გურიაში უკვე შეუდგნენ. განზრახულია გურია დაიყოს სამ საარჩევნო რაიონად ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის. გურიაში გამეფებული სიმშილობაა, უმთავრესად კი თვით ოზურგეთი ს. ლიხაური მაკვანეთი და შემოქმედის საზოგადოება განიცდის დიდ გაჭირვებას. მთავრობისაგან მოსული ქერი ერთი-ორი დღის მეტს სარჩოს არ წარმოადგენდა. მრავალი გურული მიდის თავის სოფლებიდან სამეგრელო-იმერეთში და რის ვაა-ვაგლახით, ორი-სამი დღის მუშაობის ნაცვლად იღებს—$1^1/_2$ ფუთს სიმინდს ან ლობიოს მოაქვს სახლში ზურგით 60—80 ვერსიდან და იმით აპურებს ორი-სამის დღით ოჯახს. საუბედუროდ ახლა აღარც სამეგრელოში ყოფილა სიმინდი და ბევრი ხელცარიელი ბრუნდება უკან. სიმშილობის ნიადაგზე სოფლად ფეხს იკიდებს სხვა და სხვა ავადმყოფობა. ამავე ნიადაგზე და აგრეთვე მთავრობის სათავეში მომწყვდეულ ზოგიერთ პირთა უვარგისობის გამო შესაძლებელია გამოსვლა ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობა მოვალეა სერიოზული ყურადღება მიაქციოს გურიას, რომელსაც ამდენი გაჭირვება-განადგურება განიცადა, ამდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა, მაგრამ ერთხელაც არ დაურღვევია რევოლიუციონური წესრიგი და იხსნას ის როგორმე ამ მძიმე განსაცდელისაგან.

◆ ოზურგეთში ბ. ტიტე ართმელაძის მეოხებით დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი წრე ჯარისკაცთათვის, მაგრამ, როგორც ყოველგან, ისე აქაც, ადგილობრივი ინტელიგენცია გულციედ ეკიდება ყოველგვარ საზოგადოებრივ კულტურულ დაწყებათ და ამიტომაც არის, რომ მიუხედავად რამოდენიმეჯერ თხოვნა-მოწვევისა ერთხელაც არ შემდგარა საზოგადო კრება. ასეთი ინტელიგენციისათვის მიუტევებელი დამოკიდებულება ამ სასარგებლო საქმისადმი სათავეშივე ძირს უთხრის წრის ნაყოფიერ მუშაობას და ჩვენი ჯარის გონებრივზნეობრივად განვითარება - ამაღლებას. იმედია, ოზურგეთის ინტელიგენცია შეიგნებს ბოლოს მაინც თავის მოვალეობას სამშობლოს და ხალხის წინაშე და შეუდგება თავგამოდებით საჭირო კულტურულ მუშაობის წარმოებას.

◆ ამ დღეებში გურიაში მოჰკლეს მღვდ. დიომიდე ჩხაიძე. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. მკვლელები არ აღმოუჩენიათ, თუმც, როგორც ვიცით, არც არავის მიუღია ამისათვის საჭირო ზომები.

◆ მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს დარები საგანკებოა. თავის დროზე დათესილი ყანებიც მშვენიერს სანახაობას წარმოადგენს თუმც ოზურგეთის რაიონში ძლიერ ბევრია ისეთი ადგილები, რომელიც მხოლოდ ომალოების გასვლის შემდეგ დაითესა. მაგრამ, როგორც ამბობენ, თუ კარგი დარები იქსა, ეს ნაგვიანევი ყანებიც მოესწრება. ასე რომ იმედია გურია ასცდება მომავალ წელს სიმშილობას. ადგილობრივ ვენახს „ადესას“ არაჩვეულებრივად ასხია და თუ დარმა ხელი შეუწყო, კარგი მოსავალიც იქნება.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, შაბათს, პარტიულ კლუბში დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. დასაწყისი საღამოს 7 საათზე (ახ. დრ.).

დღეს, შაბათს, პარტიულ კლუბში დანიშნულია ტფილისის საქალაქო კომიტეტის კრება. დასაწყისი საღ. საათზე (ახ. დრ.).

## საჩხერის ამბები

წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ ოსთადმი წარდგენილი ულტიმატუმის ვადა გათავდა 11 ივლისს საღამოს 5 საათზე. პატივსადებ მიზეზისა გამო ჩვენის რაზმისაგან შეტევა გვიანდებოდა. ამ გარემოებამ მოთარეშეები უკიდურეს თავხედობამდე მიიყვანა, 16 ივლისამდე განიცეულნი — ბოროტ კალიასავით მოედვა სოფლებს და სადაც კი ხელი მიუწვდათ ობცკი რაც მოახელეს გაძარცვეს, გაგლიჯეს და წაიღეს; რაც ვერ მიაქონდათ, ცეცხლს უცდნენ და ახადგურებდნენ. ზოგიერთი ფაქტები უკვე აღვნიშნეთ თუ სად, რომელ სოფელში და ვინ გაანადგურეს დაწვრილებით ჩამოვლა და ყოველივეს ზედმიწევნით აღნუსხვას ბევრი დრო დასჭირდება, რისთვისაც გარემოება ხელს არ გვიწყობს. მართალია მოთარეშე ბრბოსაგან გლეხობა მხოლოდ არ იძარცვებოდა, მაგრამ მათაც არა ნაკლები ზარალი მოუვიდათ ამ ორი კვირის განმავლობაში. მძიმე მგლებივით ოსეთიდან და ქართლის ზოგიერთ სოფლებიდან ჩვენში ჩამოცვივნულ და კალიასავით საჩხერის მიდამო სოფლებს მოდებულ ოსებს და მათ თანამოზაწილეთ რიხეა უხლოდა. ამიტომ სოფლელებს დაევალათ მათი გამოკვება, რაც მეტად დაუჯდა ყვირილას. სოფ- ქალისა და ორღულისაკენ გზიდებოდა ბევრი ხეიით ზოგი უხეულიეთ ხურჯინებით და ურმებით სათოვაგებ. ხალხს გინდეს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ათასობით მუქთა ხორაკის გამოკვება ისეთ დროს როდესაც წინად 30 კაპ. ღირებულ ფუთი სიმინდის ფქვილი 6 მან. ფასობდა ყველასათვის აუტანელი შეიქნა. ამ უბედურებას ზედ ერთვოდა ისიც, რომ კალოს მუშაობა ძლიერ გვიანდებოდა. ყანები გაუთოხნელი რჩებოდა უკვე შემოსული პური და ქერი ერ იმკოდა და ვენახები მოურწყავად აუხვევლად იყო მიტოვებული. კიდევ ზედ მეტი უბედურება ის იყო, რომ ტყურა-მგლებივით ტყე-ღრეებში გაფანტული ავაზაკთა ბრბო ჩვენს რაზმელებს მოსვენებას არ აძლევდა და მათ განსაფანტავად შეტევის დროს ორ სამ ვერსზე გაშლილ ჯარისაგან ყანები ფეხქვეშ ითელებოდა; ტყვიის მფრქვეველნი 5—6 ვერსის მანძილზე დათესილ ყანებს შიგ ჩამალულ ბრბოთა ჩასახოცად ტყვიებს ესროდა. რითაც იკაფებოდა და ნადგურდებოდა მოსწიფებაში წამოსული ნათესი. ზარბაზნების დიდი ყუმბარები ხომ ძირიან ფესვიანად სთხრიდა ნათეს ყველგან სადაც იგი დაეცემოდა. მიუხედავად ასეთ იძულებით მდგომარეობისა სასახელოდ ჩვენის გმირულად განწყობილ ჯარისა და სახალხო გვარდიისა უნდა ითქვას, რომ იგინი ბრძოლის დროს დიდს სიფრთხილესა ხალხის მწუხარებამ და დაწიოკებამ ჯარი და გვარდიელები დიდად აალელვა და წესიერების დაცვის წყურვილით გატაცებულნი მოუთმენლად ელოდნენ რაზმთა უფროხის კაპ. იმხნელის განკარგულებას საერთო იერიშებით შეტევის შესახებ. ივლისის 16-ს ბ-ნ იმხნელმა შეიმუშავა გეგმა და ყველა ნაწილებს შორის გაჰყო მთელი მიდამო ადგილები თუ ვის საიდან უნდა შეეტია მეორე დღეს 17 ივლისს ადრე დილით. გამოცდილმა მხედარმა 16 ივლისს ისეთი შთაბეჭდილება დაბადა თითქოს ჯარი არამც თუ შეტევისათვის ემზადებოდა, იშლებოდა კიდეც. კარგა მოზრდილი რაზმი რაღაც მიზანის მისაღწევად გაგზავნა, თვით ბ-ნი იმხნელი დაბა ჭიათურისაკენ წავიდა. სადგურზე ორი სამი ჯარისკაცი თუ ტრიალებდა. ჯარი არსად სჩანდა და მნახველს გარეგნობით მეტად არა სასიამოვნო ფიქრებს აღუძრავდა. ერთმა კიდეც შემომჩივლა: ვიღუპებით ბატონო, როგორც ხმა გავრცელდა ჩვენი რაზმები იშლება და ვინ იცის, რომ ხვალ და ზეგ სოფლებში მოთარეშე ოსები საჩხერესაც არ აიღებენო. მე გავამხნევე, მაგრამ იგი მაინც უნდობლად მიყურებდა, თითქოს მეუბნებოდა, თქვენ ეგრე სიტყვით გვაიმედებთ, მაგრამ საქმით არაფერი გამოდის რაო. როგორც შევიტყე ბრბოთა მეთაურს ხარებოვს საქმის ესეთი ვითარება თვისის ჯაშუშების წყალობით გაეგო და გადაეწყვიტა ჩვენის რაზმის სრულიად ხელში ჩაგდება და ხელმეორედ საჩხერის დაპყრობაც. წინა დღეებში 8 ვერსზე განდევნილი მოთარეშენი 16—17 ივლისს ღამით პირდაპირ მოსდგომოდნენ საჩხერეს ირგვლივ. ერთი რაზმი ხარებოვის ბრბოსი გაეგზავნათ სხვიტორის მხრით სოფელ დუნთაზე; რაზმს უნდა გადაევლო სოფელი ბაჯითი, ჩაეჭრა სოფ. სარეკით რკინის გზაზე და აქ მოეჭრა გზა და გასავალი ჩვენის ჯარისათვის.

მეორე კიდევ უფრო ძლიერი რაზმი გაგზავნილი ყოფილა ჯვარზე, რომ ამავე მიზნით სოფ. ითხვისით სად. დარკვეთს დასცემოდა. თვით „გენერალს“ ხარებოვს დაეჭირა შუა ადგილი შესატევად, ხოლო საჩხერის მისავალი სოფ. სხვიტორიდან მარჯვენა მის ფრთას საჩხერის ხიდი ხოდაბუნებიდან მარცხენას.

ივლისის 17 დილის ოთხი საათი იქნებოდა ყველას გასაოცებლად ამ მოულოდნელობით საჩხერის მიდამოებში ჩვენის ჯარის მთავარ სადგომიდან სულ ნახევარ ვერსის მანძილით გავარდა თოფი. ეს ხმა იყო ჩვენი საიდუმლოდ ჩასაფრებულ მზვერავებისა. პირველმა ნიშანმა ფეხზე დააყენა სხვა და სხვა ნაწილის მზვერავებიც და შეიქნა სროლა. ჩვენი ჯარისათვის ამ დღის სამოქმედოდ შემუშავებული გეგმა შეურყეველი დარჩა და მიუხედავად ასეთი მოულოდნელობისა ჩვენი ჯარი ოდნავადაც არ შემფოთებულა. უკვე შეტევისათვის გამზადებული ნაწილები მზად მყოფნი გადვიდნენ ბრძოლაზე და შეუტიეს ქურდულად შემოპარულ მოთარეშეთ. არტილერია დადგა ისევ ძველ ადგილზე საჩხერის სადგურთან საერთოდ მთელი ძალების ხელმძღვანელის კაპ. იმხნელის მეთაურობით მარცხნივ ჩიხისაკენ შეუტია სახალხო გვარდიის ნაწილმა პორ. გოგიჩაიშვილისა და მე-12 პოლკის რაზმა შტაბ. კაპ. ხვედელიძის მეთაურობით. მათ განკარგულებაში იყო ოთხი ტყვიის მფრქვეველი, მარჯვნივ ს. ივანწმინდამერჯევ-არგვეთის მხრით წავიდა უნტეროფიცერი ლევან გამყრელიძე, რომელსაც მარჯვნივ მხარი გაუმაგრა ცხენოსნმა რაზმა კაპიტან კანდელაკის ხელმძღვანელობით, ხოლო საჩხერის ხიდის გასწვრივ ხოდაბუნებს მწყობრად გაჰყვა პორუჩიკი მგელაძე როტმისტრ დენისოვის ცხენოსანთაგან მარჯვენა ფრთის გამაგრებით. ამ დროს პრაპორ. ზაქლურსმანაშვილი თავის ტყვიის მფრქვეველებით მოქმედებდა მოდი ნახის ციხესა და მის მიდამოებში სოფ. დუნთისაკენ შემოპარულ ბრბოთა რაზმის წინააღმდეგ. ხოდაბუნებსა და სოფ. ჩიხაორღულის ბოლო ადგილებში ისე როგორც ს. ივანწმინდისაკენ ღია, გაშლილ ადგილების მდებარეობამ მებრძოლ რაზმებს მეტი საშუალება მისცა სამოქმედოდ და შეტევაც მეტი გაბედულებითა და ენერგიით დაიწყეს. რამდენიმე ხნის სროლის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ვეღარ გაუძლეს და მოიხსნენ. ეს გაიგეს ჩვენებმა გადინაცვლეს და კიდევ უფრო მეტის ენერგიით მოედვნენ ყველგან და განაგრძეს შეტევა. ხვადაბუნებში ესრედწოდებულ გიგოს წისქვილთან თხმელის ხშირ ბუჩქებში დიდს ხანს გაუძლეს ჩვენებს. შევატყვეთ რომ ოსებს აქ რაღაც მარცხი მოსვლოდათ. როგორც შემდეგ დანამდვილებით შევიტყვეთ აქ მიეტანათ სასიკვდილოდ მუცელში დაჭრილი ხარებაშვილი ც რომ იგი გადახრჩინათ ძლიერი რაზმი წინ წამოაყენეს ვიდრე დაჭრილ ბელადს სამშვიდობოზე გაიყვანდნენ. ბ. ხვედელიძის, გოგიჩაიშვილისა, მგელაძისა და გამყრელიძის რაზმებმა თითქმის 6 ვერსზე წაიწიეს წინ გაღმა არგვეთამდე და გამოღმა ორღულამდე. საქმე გააჭირვეს მხოლოდ დუნთის თავზე ტყეში გაფანტულმა პარტიზან მოთარეშეებმა. ცოტა საშიშოდ შეიქნა აგრედვე ჯვრითა და ითხვისით მიმავალთ დარკვეთის მოსაჭრელად მოწინააღმდეგეთა რაზმი. ჭიათურასა და მის მიდამოებში ზაქარია გურულს მუშები წინ და წინვე გაუფრთხილებია მზად ყოფილიყვნენ. ეს გარემოება იქმნა გამოყენებული და როდესაც შესაძლებლობა შიშისა დაიბადა საჩხერიდან ეცნობა ტელეფონით მუშები აეშვა და გამოსულიყვნენ მოსალოდნელ უსიამოვნების თავიდან ასაშორებლად. ამასთანავე ჭიათურამდე განკარგულება იქმნა მოხდენილი სამს შეიარაღებულ ორთქლმავალს შეუწყვეტლივ ევლო აქეთ-იქით. ბ-ნ იმხნელმა უკვე მიაკვლია ყოველი მხრით დაძრული ჯარი, აახმაურა ზარბაზნები და ისედაც თავგზა-აბნეულ მტერს თავზარსა სცემდა. ამავე დღესვე ნაშუადღევის 1 საათიდან არტილერია გადატანილ იქმნა სოფ. სავანეს გორგოთას მუხასთან, საიდანაც დაუსვენებლივ ცეცხლი შეუკიდა ყველა იმ ადგილს, სადაც გაფანტულნი მოწინააღმდეგენი იყვნენ შემალულნი.

(შემდეგი იქნება).

ქაქუჩელა.

## რუსეთი

მოსკოვის ერთ-ერთ მოედნის წიგნის მაღაზიიდან გაუტაცნიათ 61,100 მანეთის წიგნები, გამოირკვა, რომ წიგნებს თურმე შეშის მაგიერად საწვავად ხმარობდნენ.

**შიმშილობა პეტროგრადში.** ბოლო დროს პეტროგრადში შიმშილობა დღითი-დღე იზრდება. ქუჩებში უკვე ბევრს შეხვდებით შიმშილით გასიებულს და და მკვდარს. განსაკუთრებით დიდ გაჭირვებაში უმუშევარნი არიან. ექიმებს საგანგებო სხდომები ჰქონდათ ობუხოვის საავადმყოფოში შიმშილით გამოწვეულ ავადმყოფთა შესახებ.

**შჩასნის დახვრეტა.** ივნისის 22 დახვრიტეს ბალტიის ფლოტის უფროსად ნამყოფი შჩასნი. მისი გვამი ნათესავებს არ დაანებეს. მისი დახვრეტის წინააღმდეგნი იყვნენ მემარცხენე ესერები, ხოლო მომხრენი ბოლშევიკები

ამის გამო საინტერესო შთაბეჭდილებას გადმოგვცეს შჩასნის დამცველი ვ. ჟდანოვი: თორმეტი წლის წინად, სწორედ ამავე დარბაზში, სადაც შჩასნის სიკვდილი გადაუწყვიტეს, მე ვიცავდი მეფის სასამართლოს წინაშე კალიაევს. როდესაც სიკვდილი მიუსაჯეს, მივედი თავმჯდომარის მაგიდასთან და ვკითხე, სად შეიძლება განსაჩივრება მეთქი. უმაღლესი სამსჯავროს განაჩენის განსაჩივრება არსად შეიძლება—მითხრეს მაშინ. ეხლაც, როდესაც ამავე კითხვით შჩასნის საქმის გამო მივმართე, ისეთივე პასუხი მივიღე: უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალის კასაცია შეუძლებელიაო.

## საქართველოს სამხედრო გზაზე

1

ანანურის აღება

მე აქ ავწერ საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მოქმედებას მის შემდეგ „როდესაც ჩვენი ნაწილი სახელდობრ ბათომის პარტიზანული პოლკი მევიდა სამხედრო მოქმედების რაიონში, ეს იყო თიბათვის 5 ჩვენი პოლკი პოლკოვნიკ გედევანიშვილის მეთაურობით შემუშავებულ გეგმის მიხედვით ავჭალიდან არაგვის მარცხენა მხრით სამხედრო სტრატეგიულ გზით მივიდა სოფ. კობრიანთ-კარში სადაც შეიერთა უკვე წინეთ გასული კაპ. ფურცელაძის რაზმი. ამ დროისთვის სხვა ფრონტებზე ასეთი მდგომარეობა იყო: მარცხენა ფრთაზე ბაზალეთის ტბის ხაზით მოქმედებდა ვ. ჯუღელის რაზმი, ცენტრში კი იდგა დუშეთის ხაზზე თვით ყველა მომქმედ რაზმების უმფროსი პოლკოვნიკი კონიაშვილი. მისვლისთანავე ჩვენ დავიკავეთ კავშირი პოლკ. კონიაშვილთან, მან გვაუწყა, რომ ექვსისთვის უნდა დაგვეწყო შეტევა, სწორედ იმ დროს როდესაც მოგვესმება ზარბაზნების გრიალი. პოლკ. გედევანიშვილის კოლონას ევალებოდა გზის გაჭრა ანანურში უკან გაქცეულ ბოლშევიკებისათვის [illegible] უსწრაფესად პოლკ. გედევანიშვილმა წასწია წინ ჯარი [illegible] ვიყავით სოფ. ქინვალის წინ ბოდბისხევთან სადაც გავათენეთ ღამე და 6 დილის 7 საათზე გავსწიეთ წინ. დილის 9 საათზე სოფ. ქინვალი დავიკავეთ, ეს სოფელი იყო ბუდე ბოლშევიკებისა და სწორედ ამიტომ აქ გარდა მოხუცებისა არავინ, დაგვხვდა, ქალები და ბავშვები გახიზნულან მთებში. ახალგაზრდები კი იარაღით ხელში თავის კომისარის აფციაურის მეთაურობით დუშეთის პოზიციაზე იბრძოდნენ. ჩვენი პოლკი წინ მიდიოდა აქ ცოტათი შევისვენეთ და ჩვენმა უფროსმა ნაწილი მესამე ასეულისა გაუშვა მარცხენა მთის დასაზვერად და ანანურის გზაზე კი გაგზავნილ იქმნა მზვერავები, მზვერავთა დარაჯებს გზაში შეეჯახათ ორი მტრის დარაჯი, რომლებიც მყისვე იქმნენ იარაღ აყრილნი და გამოსტუმრებულნი უკან, მაგრამ როდესაც უკან წამოიყვანეს მათ შეეშინდათ თავისიანებისვე, რომლებიც თურმე ჩასაფრებულნი ყოფილან მთაზე ბუჩქებში ორი ტყვიისმფრქვეველებით. ეს ჩვენ არ ვიცოდით, მათ კი იცოდნენ და გაგვიმხილეს საიდუმლო „გაგვაფუჭებს ბატონო, ახლა რომ ისევ ქინვალში დავბრუნდეთო, თქვენც“ და ჩვენც მოგვყვებითო, თქვეს მათ. მართლაც მათ გვაჩვენეს ადგილი სადაც ღამით ყოფილა ჩვენს გასაჩერებლად ატანილი ტყვიისმფრქვეველები. მაშვე გამოიძახა ჩვენმა უფროსმა მზვერავთა რაზმის უფროსი პორ. სამუშა და უბრძანა აი აქ არის ტყვიისმფრქვეველები და უსათუოდ უნდა მოვიგოთო“. მყისვე შეცოცდნენ მზვერავები ფოთოხით კლდიან მთაზე ეკლიან ბუჩქებით დაბურულში და არ გასულა 20 წუთი, როგორც მოისმა „ვაშას“ ყიჟინა და ხელით სასროლ ყუმბარების გრიალი, ნახევარ საათის განმავლობაში ორი ტყვიისმფრქვეველი „მაქსიმეს“ სისტემის თავის ყუთებით და სამი ტყვეთი იდო უკვე გზაზე უფროსის წინაშე. დანარჩენი 50 კაცი, რომელიც ტყვიისმფრქვეველებს ახლდ ენ გაფანტულიყვნენ ბუჩქებში, და ბევრს მათგანს თოფები და ქუდები დაეყარა. ამის შემდეგ გავსწიეთ წინ და 11 საათზე უკვე დავიჭირეთ სოფ. ანანური თავის სახელ-განთქმულ ციხე ეკლესიით. სწორედ ეს ანანური იყო ჩვენი ამ დღეინდელი მიზანი და ის გზაჯვარედინის გადაკეტვა რომელსაც სამხედრო გზა ეყრდნობა.

გაიშალა მზვერავები. უკან მიჰყვა ასეული, მეორე ასეული კი გაგზავნილ იქმნა მარჯვენა მთის გასამაგრებლად. რა წამს დაგვინახეს ანანურიდან, დაგვიწყეს სროლა ციხიდან და მის უკან მთებიდან. მიუხედავად ამისა და აგრეთვე იმ მდგომარეობისა, რომ უკან კიდევ ატყდა სროლა ბუჩქებში დარჩენილ ბოლშევიკებთან, ჩვენი რაზმი ერთი წამიც არ შესდგა. არ შედგა რადგან დიდი იყო სურვილი გამარჯვებისა და 12 საათზე იგი უკვე შევარდა სოფელში. ტყეობა მყისვე დაიცალა ციხე და გაიქცა მთებში, საიდანაც გამუდმებით ისროდა. ჩვენმა მზვერავებმა დაიკავეს ციხე, პირველმა ასეულმა დუშეთის მხრით გაამაგრა პოზიცია, გამოქცეულთა შესაპყრობლად, და დანარჩენებმა კი აჰყარეს იარაღი ცხოვრებლებს, ტყვეებს, და გასწიეს წინ გზატკეცილით. აქ ცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ ესეც არის ბოლშევიკებმა ორი ზარბაზანი გაარბენინესო. მაშვე მოაგროვეს ცხენები, აგრეთვე პოლკის უფროსმა გამოიძახა ცხენოსანი ოფიცრები და ორდინარცები, და უცბად მოგვაროვეულ კავალერიით დაედევნენ ზარბაზნებს, მათ გასამაგრებლად ურმებზე მოაწყვეთ ორი ტყვიისმფრქვეველი და გავაყოლეთ. უკანაც სოფ. ციხის-ძირთან იწყებს კავალერიას შეხვდნენ სროლით, ზოგიც ჩვენებისა ჩაება ბრძოლაში. ნაწილმა კი არ მიაქცია ყურადღება არავითარ საფრთხეს და გასწია მაინც წინ. მგრძნებს რა ბოლშევიკებმა ცხენოსანთა მოახლოვება, რაც მალი და ღონე ჰქონდათ გააქანეს ზარბაზნები, მაგრამ ჩვენები მაინც უახლოვდებოდნენ და ბოლოს გადაატრიალეს ზარბაზანი მე-15-ტე ვერსზე გზიდან და თვითონ მიიმალნენ ტყეში გზის თავზე საიდანაც დაიწყეს სროლა. პირველად ზარბაზნებთან მივარდა კორნეტი სილ. გაბუნია, არ. ჯგამაია და პარტიზანები სასანია და კოსტავა, შემდეგ მათ შეუერთდა პოდპ. მალაშხია და პოდ. სამუშია. მიიტანეს იერიში ტყეზე, განდევნეს მტერი და სწრაფ გამოაქანეს უკან ზარბაზნები, რადგან შეეშინდათ მაშველ ბოლშევიკების მოსვლისა. 16 საათზე ნადავლით დაბრუნდა ჩვენი კავალერია და რომ დაინახეს პოლკ. გედევანიშვილი ქუჩაში მდგარი დასძახეს. „გაუმარჯოს საქართველოს“, ვულოცავდით

ამისათვის ორი აზრიც არ არსებობს და მარქსიც გვიმეორებს; „კაპიტალი მხოლოდ მოძრაობაში შეიძლება წარმოვიდგინოთ და არა ისეთი საგანი, რომელიც მოძრაობაში არ არის.“ *) სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ბრუნვის ეს ორივე კანონი მიჩქმალულია და შეუძლებელია მისი აბსოლიუტურად განხორციელება, ვინაიდან სოფლის მეურნეობაში წარმოებას კავშირი აქვს არა მარტო ტეხნიკურ პირობასთან, არამედ ბუნებრივ, ორგანიულ არსთან. ინდუსტრიაში ყოველგვარი წარმოება გაჩაღდება როგორც კი შევასრულებთ მკვდარ ტეხნიკურ ფორმების კომბინაციას, სოფლის მეურნეობაში კ. მარქსის თქმით [illegible] ციკლის დასაწყისი, ხოლო მომკა-დასასრული **), წარმოების ეს ხანა-თესვა და მომკა, ერთი მეორესაგან მეტად დაშორებულია, რომლის განმავლობაში შეწყვეტილია ტეხნიკურ იარაღების და შრომის შემოქმედება. „ზამთრის პური ამბობს მარქსი— მოითხოვს დამწიფებისათვის ცხრა თვეს. დათესისა და მომკის დროს შრომის შრომისპროცესი თითქმის სრულიად შეწყვეტილია. ტყის მოშენების საქმეში, დათესვისა და წინასწარ ზომების შემდეგ ხშირად საუკუნეს გასვლაა საჭირო, რომ თესლმა სათანადო ნაყოფი მოიტანოს“.****)

თედო ღლონტი.

(შემდეგი იქნება)

**) „კაპიტალი“, ტ. მეორე, გვ. 77.

***) იქვე, გვ. 126, 77 და სხ.

****) იქვე, გვ. 209.

...გერმანეთის გამარჯვებას. ამ დღეს ხელთ ვიგდეთ ორი სამთო გაწყობილი ზარბაზანი, 75 ყუმბარა, ორი ტყვიისმფრქვეველი, 70 ვინტოვკა, ორასამდე ტყვე და მრავალი სურსათ სანოვაგე და ცხენები. მეთაურებმა გაგვასწრეს, რადგან მათ წინდაწინვე უგრძვნიათ დამარცხება და მოტყუებული ხალხი დასტოვეს უპატრონოდ. დუშეთის პოზიციაზე მებრძოლი ბოლშევიკები, რომლების უმრავლესობას შეადგენენ ადგილობრივი მცხოვრებლები განსაკუთრებით ბაზალეთის რაიონიდან, შეტევის დაწყების დროს გაიფანტნენ მარჯვნით და მარცხნით. ასე რომ გარდა მოსულებისა ჩრდილოეთიდან ანანურში არავის გაუვლია. 16 საათზე მოვიდნენ დუშეთიდან პოლკ. კოხიეშვილიდან 1-ლ ცხენოსან პოლკის კავალერისტები და ამით გავიგეთ, რომ გზა ანანურსა და დუშეთ შორის უკვე გაწმენდილიყო. 17 საათზე მოვიდა ვ. ჯუღელი თავის ერთგულ ჯგუფით, რომელმაც მოგვილოცა გამარჯვება. საღამოს მოვიდენ დანარჩენებიც სახალხო გვარდიისა.

ანანურში ბევრი ჭრელი ხალხი დაგხვდა რუსობა, სომხობა და სხვ. და სხ. მათ სახეზე სიხარულს ვერ ვხედავდით. აქ დავატუსაღეთ ბევრი წყლის ამღვრევნი.

თიბათვის 7 დავისვენეთ და მოვწესრიგდით 8-ვის კი იყო ბრძანება წინსვლისა.

II

**ფასანაურის აღება. ივლისის 8.**

ავანგარდი განსაკუთრებულ ბატალიონის კომანდირის კაპ. ფურცელაძის მეთაურობით და ვ. ჯუღელის თანხლებით გავიდა 5 საათზე ფასანაურისაკენ. ცხენოსნები პირველ ცხენოსან პოლკისა, რომლებიც წინ მიდიოდნენ დასაზვერად იმყოფნენ მეტყუებულნი შორს, რის შემდეგ ირგვლივ მთებიდან დასცხეს, დასტოვეს სამი მოკლული ცხენი და ორი დაჭრილი მხედარი დანარჩენებმა გვაცნობეს თუ სად იყო მტერი. ავანგარდი ჩაება ბრძოლაში მეორე ვერსზე ანანურიდან, სადაც მტერს დაეკავა ყველა ხელსაყრელი ძალლობები და გზით გასვლა შეუძლებელი ხდებოდა.

მიიღო რა ეს ცნობები პოლკ. გედევანიშვილმა, რომელიც ამ დღეს მთავარ ძალებს უმფროსობდა მიბრძანა ადგილობრივ გამეცნო მდგომარეობა და თან გამეყოლა ჩვენი მზვერავები, გავიცანი რა მდგომარეობა გავგზავნე ჩვენი მზვერავები პორ: სამუშის მეთაურობით მარცხნივ და ...ხარი მოევლო მტრის მარჯვენა ფრთისთვის და გამოსულიყო გზატკეცილზე. გამოვბრუნდი უმფროსთან, რომელმაც მოისმინა ჩემი მოხსენება და გასცა ბრძანება წინსვლისა 15 საათზე მთავარი ძალები მივიდა ავანგარდთან. პოლკოვნიკ გედევანიშვილმა გააძლიერა პოზიცია მესამე სახალხო გვარდიის ...ლისაგან და ჩვენ რვა ტყვიისმფრქვე...ებს უბრძანა წინა ხაზზე გასვლა, არტილერია წამოიწია წინ და გასცა ბრძანება ქარიშხალებრივ ცეცხლის გაჩენისა მარჯვნივ მთებზე და წინ. მარცხნით ...ზე კაპ. ფურცელაძიდან გაგზავნილი ...ი ავიდა და გვაცნობა ეს მათ გა... ვ. ჯუღელი თავის ჯგუფით, რომელმაც გასწია კიდევ წინ თავ დასასხმელად. ამ სროლის შემდეგ უმფროსის ...ნებით უნდა წავსულიყავით იერიშზე, სწორედ ამ დროს, მზვერავები გამოსულან მთით გზამდის სადაც მტრის პოზიციის მარჯვენა ფრთა იწყებოდა და ...დე ბოლშევიკი იწვნენ და ისროდენ, ...ის ხმაურობა ჩვენების დასძახეს „ვინა ხართ, ტფილისელი სალდათები ხომ არახართო? პორ. სამუშიმ პასუხა არა ჩვენ ბოლშევიკები ვართო. ...იყო კარგი, ჩვენც ბოლშევიკები ვართო; ალბად თქვენ ჩვენი მაშველი ...ებითო" დიახ, დიახო უთხრეს მზვერავებმა და ამ დროს დაიკავეს პოზიცია რადგან იერიშით მისვლა ხიშტზე არ ...ლოთ ვინაიდან ხიშტებიც არ ქონდათ და მასთან მხოლოდ 12 კაცი იყვნენ ისინი კი 80. დაჰკივლეს ჩვენებმა და მიაფარეს ტყვია და ყუმბარები, მათ ...დნენ რომ ესენი ბოლშევიკები არ არიან და აირდაირიენ, ზოგმა დააგდო იარაღი და გაიქცა ზოგმა ხელები ასწია ...ა და ზოგმა კი შეებრძოლა. მისცვივდნენ ჩვენები და მრავალი დახოცეს. ამის შემდეგ ყველამ დაიხია უკან რაც მოულოდნელ იქმნა უმფროსისთვის და როგორც ერთი კაცი მთელი ჯარი დაეცა გაქცეულებს, წინ მიდიოდა ჩვენი უფროსანი ოფიცრები და პარტიზანები და მათ მიყვებოდა თავიანთი პოლკოვნიკი.

სოფ. მუგუდასთან შევისვენეთ. აქ მიტოვებულ სახლში ვნახეთ დატოვებული ...რებით პური და „კრეხდელები" რომ... ამივრები შევექციეთ სოფელში დაგვხვდა რამოდენიმე გლეხი, რომლებიც ჩვენ დანახვაზე მოიხადეს ქუდები და შეგვძახეს „გაუმარჯოს თავად-აზნაურების მოსვლასო". საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი ბოლშევიკებისაგან მოწამლულია, ვერვის დააჯერებთ რომ თავად-აზნაურობის არა ხართ. თითქმის ყველანი ვისთანაც კი საუბარი მქონია ამბობს: „ბატონო როგორ იქნება უუმფროსოთ. რა დაგვიშავა თავად-აზნაურობამო და სხვ. როდესაც ეტყვი სიმართლეს აუხსნი, რომ ჩვენ თავად-აზნაურობის აღდგენა არ გვინდა ის დიდი ხანია მოსპო ჩვენმა მთავრობამ აქ და სხვ. ისმენს მაგრამ არ სჯერა და რაღაც იჭვის თვალით იყურება „მატყუებ მატყუებო, გიცნობ კნიაზი ხარო" ამბობს მისი თვალები ასე აიყოლია ბოლშევიკების პროვოკაციამ საწყალი ჩვენი გლეხობა.

ცხენოსნებმა კვლავ გასწიეს წინ მას მიყვა ყველანი, ვინაიდან არაგვის გაღმა ჩვენი ჯარის ნაწილიდან არ იყო რადგან გვარდიელები არ გადვიდენ და იქიდან კი გვესროდენ გზაზე, უმფროსმა უბრძანა ტყვიისმფრქვეველებს დროგამოშვებით ესროლათ გაღმა ტყიან მთისათვის. ასეთი მუსიკით მივდიოდით წინ, ცხენოსნებმა მიაღწია ხიდესთან სადაც მდ. გონდოლკა ჩამოდის, აქ ჩასაფრებულან გაქცეულები და რამოდენიმე ფეხის ნაბიჯზე აუტეხეს სროლა ჩვენებს. კორნეტი გაბუნიას ცხენს მოხვდა სამი ტყვია და წაიქცა შემდეგ თვითონაც დასჭრეს ბარძაყში ისე, რომ სიარული არ შეეძლო, დასჭრეს აგრეთვე აქ პრაპ. ჭუმბურიძე ფეხში მსუბუქად და პრაპ. კვერკველიას და პორ. ჯღამაის მოუკლეს ცხენები, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ, მაგრამ ფეხით მოუსწარით და გავაჩაღეთ რამოდენიმე ტყვიისმფრქვეველებიდან ცეცხლი, რის შემდეგაც გაიქცნენ და მეტი აღარ შეჩერებულან ფასანაურზე. 20 საათზე შევედით ფასანაურში წინ მიდიოდა პოლკ. გედევანიშვილი მას ფეხით მიყვებოდა ვ. ჯუღელი ცხენოსანმა გადმოგვცა, რომ ხალხი თავშეყრილია თეთრი ბაირაღითო. მიუახლოვდით ხალხს. მათ დიდი ღელვა ეტყობოდათ, ეგონათ რომ ყველას დავხოცავდით, რადგან ბოლშევიკებმა დაყარეს ხმა ვითომ ჩვენ, ყველაფერს ვანადგურებთ ვსწვავთ, ვხოცავთ ქალებს ბავშვებს, რომ არ ვინდობთ არავის, ეს ხმა იყო მიზეზი იმისა, რომ თითქმის არც ერთ სოფელში შემდეგ ხალხი არ დაგვხვდენია. ერთმა ვისაც თეთრი ბაირაღი ხელში ეჭირა მოგვესალმა მას გასცა პასუხი პოლკ. გედევანიშვილმა დაამშვიდა ყველანი და უთხრა, რომ მოვედით საშველად და წესიერების აღსადგენად, შევსძახეთ „გაუმარჯოთ საქართველოსთქო" და იგრიალა ხალხმაც სადაც ბევრი ბოლშევიკები იყვნენ მიმალულნი, რუსობა, სომხობა და სხ. დიდხანს დადიოდნენ ქუჩებში და გაიძახოდნენ „ვაშა საქართველოსო". ფასანაური ჩვენ ყველას მოგვეწონა. სწორედ რომ მშვენიერი მდებარეობა და ბუნებაა, ბორჯომს მოგვაგონებს ხოლმე.

# ფოთის ცხოვრებიდან.

(მილიცია თუ პოლიცია)

ჭეშმარიტებაა, რომ მავნე ელემენტი, რევოლიუციის და სამშობლოს მოღალატე დასჯილ იქნეს არა მარტო სამსახურიდან გაძევებით, არამედ მათი ფიზიონომიის და საქმიანობის გამოაშკარავებით, მათი ცოდვების გამოსაძიებლად სამართალში მიცემით. ამ შემთხვევაში ძლიერ რბილად და ჰუმანურად მოიქცა ქალაქის საბჭო მილიციის და კომისრების დათხოვით თავის თანამდებობიდან.

რათ გააძევეს სამსახურიდან მილიციის უფროსი ბ-ნი გ. ჩაჩუა და მეორე რაიონის კომისარი ბ-ნი დ. მამულაიშვილი ჩვენ არ ვიცით (ვგულისხმობ ფოთელ მოქალაქეებს). ხოლო „ბოროტი ხმები" დაჟინებით ამბობდნენ, რომ რაც უბედურება და ძარცვა-გლეჯა ხდებოდა ქალაქში ყოველივე ეს მილიციონერების წყალობით ყოფილა.

მცხოვრებლებს უკვირდა და დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი: რისთვის რევოლიუციის დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში, როდესაც ქალაქში ორი კომისარი იყო და მილიციის შტატი არ აღემატებოდა ორმოც კაცს ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, უწესოება ქალაქში და სხ. ნაკლებად იყო.

თურმე წარმოიდგინეთ მკითხველო, ექვსი თვის განმავლობაში, როგორც გადმოგვცემს ერთი აღშფოთებული მილიციონერი, ქურ-ბაცაცობას, მკვლელობას ქონია ალაგი მხოლოდ ოთხ შემთხვევაში. მაგრამ ენკენისთვიდან რაც სამსახურს ბ-ნი ჩაჩუა ჩაუდგა სათავეში 25 ძარცვა-გლეჯას და მკვლელობას ქონდა ალაგი. (ყოველივე ეს ცნობა გადმომცა მილიციონერმა უტყუარ წყაროებიდან და მე როგორც ნამდვილმა მოქალაქე მზადა ვარ წავრსდგე რევოლიუციონურ ტრიბუნალის წინაშე და გამოვააშკარაო მათი ფიზიონომია) ენკენისთვემდე ყველა დამნაშავენი დაუჭერიათ და დღესაც სატუსაღოში არიან, ენკენისთვიდან კი არც ერთი მას შემდეგ, რაც ბ-ნი გ. ჩაჩუას ინიციატორობით ჩამოვიდენ ძველი რეჟიმის დროს ყოფილი „პრისტავი" ბ-ნი დ. მამულაიშვილი ნიჟარაძე, ივანოვი, საყვარელიძე და მათი დამქაშები. მილიციონერები რიცხვით 130-მე, გახშირდა ქალაქში ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, უწესოება, მექრთამეობა და სხ. მრავალ დუქნებს და სახლებს ძარცვავდნენ და ბ-ნი ჩაჩუა კი ყურადღებასაც არ აქცევდა. მაგ. გაძარცვეს ვინმე ვაჭარი არუევი და წაიღეს 20 ათასის ქონება, მეორე დღეს მილიციის უფროსი არც კი გასჯილა, პირადად და საქმის გამოსარკვევად სხვა გაუგზავნია და ისიც არა კომისარი არამედ... უბრალო მწერალი, როდესაც გაძარცული ვაჭარი მისულა მასთან კაბინეტში და უთხოვნია ოქმის შედგენა, მას უკითხავს როდის გაგძარცვეს და რამდენი წაიღესო. „20 ათასის ქონება" უპასუხია ვაჭარს. „ალბად 40 ათასის კიდევ დაგრჩებოდა უკან, რა უშავს თუ 20 ათასის დაგეკარგა", უთქვამს ბ-ნ ჩაჩუას. ამით დაკმაყოფილებული მილიციის უფროსისაგან ვაჭარი მისულა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩიტაიასთან და უთქვამს ყოველივე ეს. გ. ჩიტაიას მიუმართავს ბ-ნ ჩაჩუასთვის, რომ გამოერკვია საქმე, მაგრამ მას დღესაც არ გამოურკვევია სამი თვის ამბავი. როგორც ბ-ნი ჩაჩუა, აგრეთვე ბ-ნი მამულაიშვილი სულს უხუთავდა და დაჭერას უქადდა ვაჭრებს განსაკუთრებით კი მიკიტნებს. მიკიტნებთან შევიდოდნენ, სვამდნენ, უკასასკნელ 100—200 მან. დახარჯავდნენ და კაპიკ ფულს არ გადიხდიდნენ. „ბოროტი ხმები" იმასაც ამბობს, რომ ბ-ნმა ჩაჩუამ რეკვიზიციით შეძენილი იარაღი გაყიდაო და წარმოიდგინეთ ქრთამსაც არ ერიდებოდა. მექრთამეობაში 3 ჯერ დავიჭირეთ ბ-ნი მამულაიშვილი, სამივეჯერ ოქმი შეუდგენითო, ამბობს მესამე მილიციონერი, და გადმოგვცა ოქმი რომლითაც მართლა დავრწმუნდი ბ-ნ მამულაიშვილის ბოროტ-მოქმედებაში. ბ-ნი მამულაიშვილი თურმე შეიდოდა სამიკიტნოში თავის ერთგული მილიციონერებით და საუკეთესო სადილს ღვინით მიირთმევდა, გაძღებოდა, დათვრებოდა და უბოდიშოდ წავიდოდა. მემიკიტნეს, რომ რაიმე საწინააღმდეგო ეთქვა დაჭერას დაუპირებდა, (არა ერთხელ და ორხელ წაუყვანია ყოფმანის მემიკიტნე ციხეში) ან და უქადდა დუქნის სამუდამოდ დახურვას. ვაჭარი იძულებული იყო არა მარტო გამასპინძლებოდა მამულიშვილს კარგი საჭმელებით, არამედ „ცალკე ოთახში" იძულებული ხდებოდა ქრთამიც მიეცა. ერთხელ მუშა მისულა ბინაში მამულაიშვილთან და ასე დაუწყია საუბარი: „ამხანაგო კომისარო მე თქვენთან საქმე..." „როგორ, რას ჰქვია ამხანაგო?", შეუწყვეტია მამულაიშვილს ლაპარაკი და უყვირია, „მე როდის ვიყავი შენი ამხანაგი, მე კომისარი გახლავარ და შენ კი მუშა მაშასადამე მე შენი ბატონი ვარ და არა ამხანაგი, მეორეჯერ არ გამიბედო აშის თქმა, თორემ „კუტუსკით" გაგიმასპინძლდები".

ქალების დიდი მუსუსიც იყო ბ-ნი მამულაიშვილი.

მრავალი სხვა და სხვა ბოროტება ჩაუდენია ბ-ნ მამულაიშვილს და ბ-ნ ჩაჩუას, ძნელია ყველა ფაქტების ჩამოთვლა, ხოლო როდესაც რევოლიუციონური ტრიბუნალი შეუდგება მათი ავკარგის გარჩევას საჭიროა მიმართონ ჭეშმარიტ სოც.-დემ. და სოც.-ფედ. მილიციონერებს რომელნიც რევოლიუციის პირველ დღიდან ერთგულად მსახურობენ. ბევრი ფაქტების გამორკვევა შეუძლიათ აგრეთვე ძმები ჯლანჯღავაძეებისაგან, რომელნიც მსახურობენ მწერლად მილიციაში.

მე როგორც ერთი „მოქალაქეთაგანი შოვითხოვ, რომ ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ქალაქის საბჭომ და საქმის გამოსარკვევად დანიშნოს კომისია.

ალ -მა.

# სასურსათო სამინისტროს საყურადღებოდ

როგორც საზოგადოება მოეხსენება საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ დაწესებულებებს ჯერ კიდევ სხვა ტომის და სხვა ეროვნების პირნი უდგანან სათავეში და რა გასაკვირველია, თუ საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ, მათის მოქმედებით, არ სწყდება რომელიმე საკითხი და საქმე.

მე ამ შემთხვევაში არ შევეხები ყველა დაწესებულებას, მინდა მხოლოდ მკითხველის და უფრო მეტი სასურსათო სამინისტროს ყურადღება მივაქციო ქალაქის სასურსათო განყოფილების მდგომარეობას.

ამ განყოფილებას დღეს სათავეში უდგ ს სამი სხვა და სხვა ეროვნების პირნი პაპოვი. ხურამოვიჩი და მინიასაროვი ესენი განაგებენ ყოველგვარ სასურსათო და, სანოვაგის შემოტანის და გატანის საკითხს ქალაქ ტფილისში რამდენად წესიერად და კანონიერად აწარმოებენ საქონლის გატანშემოტანას საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ ეს მათი სინდისის საქმე არის და გარეშე კანტროლს კი იმდენი გავლენა ჯერ არ ჰქონია რამდენ ც საჭირო იყო.

რასაც „კანცელარიაში" შეტანილი თხოვნები დაიტევს და მათზე მოთავეთა წარწერა ეს შეუძლიათ მოკლედ აღნუსხონ ყველა დარგის განყოფილებათა მწარმოებელმან, მაგალითად: ტყავეულობის, თამბაქოს, ფქვილის, ნავთის, შაქარის და სხვა მრავალი.

მე ამ წერილში მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი. ზემო ხსენებულნი ხმოსნები თუ გამგენი სასურსათო განყოფილებისა შეიკრიბნენ და დაადგინეს ქ. ტფილისის მოქალაქეთ მკვიდრთ თუ მოსულთ სტუმართ მიეცესთ სამი თვის შაქარი ერთად. შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება დღეს ქაღალდზე არ იყოს დაწერილი, მაგრამ შაქარი დარიგდა სამი თვის რაციონი ერთად მე არ ვიცი: რითი იხელმძღვანელეს ამ შემთხვევაში, ვიცი მხოლოდ რომ შაქარი დარიგდა და წაიღეს.

ამ საკითხით დაინტერესებულმა ზოგიერთ პირთ მივმართე და ვთხოვე შესაფერი განმარტება, მაგრამ ვერავისაგან ჯეროვანი და დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მივიღე შემდეგ ერთ მოსამსახურეთაგანს უთხარი, რომ ეჭვი მეპარება, ვაი თუ განგებ მოახდინეს ასეთი განკარგულება და საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობის უარის მთქმელთ, საშუალება მისცეს, რომ წასვლისას სამი თვის შაქარი წაეღოთ. მოსამსახურემ გაკვირვებით შემომხედა და მიპასუხა, რომ შეიძლება აგრეც იყოს და ნამდვილს კი ვერას ვიტყვი. თუ ჩემი ეჭვი მართალი არის ეს საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ არის თუ საზარალოდ? რასაკვირველია საზარალოდ, მიპასუხა მოსაუბრემ.

მე ვისაც არ ვთხოვე ამ ეჭვის გაქარწყლება ვერავინ ვერაფერი მიპასუხა და ერთმა მეგობარმა ასეც მითხრა!

— კაცო რათ გიკვირს მაგვარი განკარგულება. საქართველოს რესპუბლიკა ყველას არ გახარებია და მით უმეტეს შაქრის მეთაურებსო; ეგენი დღეს თუ ხვალ სამსახურს დასტოვებენ ან დაატოვებინებენ და წინდაწინ მოიმზადეს ყოველგვარი სანოვაგე და უპირველესად კი შაქარი—პაპოვმა რუსებს, ხურამოვიჩმა—თათრებს და მინიასაროვმა—სომხებს შეუწყვეს ხელი და ქართველებს დაუტოვებენ ცარიელ ბეღლსა და საკუჭნაოს".

ნუ თუ სასურსათო განყოფილებაში არ მოიძებნება ქართველობა, რომ მათ ხმა ამოიღონ და საზოგადოებას აცნობონ მათ ავეთა მოქმედება და გულ შემატკივრობა?

არ ვიცი, რამდენად სამართლიანია ჩემი ეჭვი, რომ შაქარი განგებ გაატანეს წასვლელთ

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თვითეულ მოსამსახურეს 7 გირვანქა ფხვნილი შაქარი მიეცა გირვანქა 4 მან. იმ დროს როდესაც ნიხრით მოქალაქეთ გირვანქა ფხვნილი შაქარი 1 მან 42 კაპ. ეძლევოდათ. ესეც აუხსნელი გამოცანა არის და ვინ იცის კიდევ რამდენი გამოსაცნობი რებუსები და ამოცანები აღმოჩნდება თუ ვინმე მკვლევარი აღმოჩნდა.

მოქალაქე.

**გამომცემელი**
**სამსონ ფირცხალავა**
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**დაკარგე**
**ექვს თვიანი პასპორტი.**
მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ორთქლმავლის დეპო, მემანქანეს ალავერდიანს. 789

**ექიმი ი. დ. ჯაფარიძე** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17 - 49. 1153

**ექიმი გ. მ. მუხაძე** კურორტში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია. 1030

**ექიმი ...** ... ავადმყოფთ, ... როგრადის ... № 7. 1037

**ექიმი დ. შარაშანიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობის. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი ქალისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავადმყოფებს ვენეროული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 203

**ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ვუნ...ის ქუჩა № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი პავლე არდაზიანი** დაბრუნდა იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საზებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
**ბ. ა. ნავასარდიანი**—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
**ე. ი. მაშნერი**: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
**ბ. გ. აგასაროვი**: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**აветისიანი**—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
**მ. მ. ბენიამოვიჩი**: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
**ხ. გ. ავეტისიანი**—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
**ი. ი. ტერ-გრიგორიანცი**: 1—2 ს შინაგანი.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ა. ნ. ისაკიანი**: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

# საჯარო ვაჭრობა

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ივლისის 27-ს დილის ათ საათზე, მის განყოფილებაში, ტფილისში (ფრეილინის ქუჩა № 1), თავისუფალ ვაჭრობით გაიყიდება ამ ბანკის მამული, ყოფილი ეივაზოვისა, მდებარე ტფილისში, მალაკნების ქუჩაზე, № 29, მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ დანიშნულ დროს განყოფილებაში. 1258